ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

განკარგულება:**g-69.69222135**
თარიღი:**01/08/2022**

**„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63 - მუხლის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში

1. განკარგულებით დამტკიცებულ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხიდან ამოღებული იქნეს შემდეგი ობიექტები:

ა) ავტომანქანა ზილ 4502,სახN DBI330,შემდგომში ა(ა) ი.პ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებაზე სარგებლობის უფლებით გადასაცემის მიზნით.

ბ) ეზოს შემოსარაგვი რკინის კუთხოვანაში ჩასმული 93 ერთეული მავთულბადე ,შემდგომში ა(ა) ი.პ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებაზე სარგებლობის უფლებით გადასაცემის მიზნით.

გ) ავტომანქანა VAZ2121, სახN MS143SS.შემდგომში ,შემდგომში ა(ა) ი.პ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებაზე სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

დ) ბორითის ყოფილი ამბულატორიის შენობა მასზედ დამაგრებული მიწით.36.03.33.02, რომელიც გადაეცა სახელმწიფოს უსასყიდლოდ.

ე)კედლის ბლოკი 57ცალი(2,6მ*1,2მ*0,4მ)-გაიყიდა.

ვ) პატარა ბლოკი 9 ცალი (1,3მ*0.6მ*0,4მ) -გაიყიდა.

ზ) ბეტონის ბოძი 30 ცალი (4მ*0,4მ*0,4მ)-გაიყიდა.

თ)არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სოფელ ზვარეში (ს/კ 36.18.34.461)-გაიყიდა.

ი) ტრაქტორი ბელარუსი , სახ N RA618-გაიყიდა.

კ) ტრაქტორი ბელარუსი , DT-75, სახN SZ731-გაიყიდა.

**2.** საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხას დაემატოს ავტომანქანა ტოიოტა რანერი ,

სახ.N WV229UW.

**3.** სოფელ თეთრაწყაროს ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობის კოდი

ნაცვლად 36.10.39.009-ისა შეიცვალოს ს/კ 36.10.39.009.01.501-ით, რომელიც

მიენიჭა დაზუსტების შემდეგ.

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

სარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი